საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

MES 2 23 0000452236

25/04/2023

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თელავი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გამოცხადებული არჩევნების ორგანიზებულად ჩასატარების მიზნით საარჩევნო საუნივერსიტეტო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-17 მუხლის და მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ“ დებულების მე-12 და 38-ე და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 19 აპრილის ოქმი N10 დადგენილების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გამოცხადებული არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შეიქმნას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჯუმბერ მაილაშვილი- უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი;
ბ) შორენა ლაზარიაშვილი- უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

გ) ქეთევან ხმალაძე- უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;
დ)ნანა რინკიაშვილი-უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა,ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის პროფესორი;
ე)დავით მაისურაძე- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი;

2.დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას არჩევნებთან დაკავშირებით საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;
3. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;
4.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირებისათვის წინამდებარე ბრძანების სათანადო წესით გაცნობა.
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
6.დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
8.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა